სექტემბერი, 2015



# NEWSLETTER

IDFI

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

## კვლევები

სექტემბრის თვეში IDFI-მ მოამზადა 4 კვლევა:

- საჯარო დაწესებულებებში დასაქმებულთა სტატისტიკა გენდერულ ჭრილში
- საქართველო გლობალური მმართველობის ინდიკატორებში
- სტრატეგიული სამართალწარმოება საქმეზე IDFI საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წინააღმდეგ
- ინფორმაციის თავისუფლების შესახებ პაკისტანის კანონისა და საქართველოს კანონმდებლობის შედარებითი ანალიზი
- უფასო სუპერთასის ბილეთები საჯარო დაწესებულებებისათვის

## თვის მოვლენა

სასამართლომ შსს-სა და მთავარ პროკურატურას გიორგი კლდიაშვილის სასარგებლოდ ზიანის ანაზღაურება დააკისრა.

## აქტივობები

### ციფრულ საეთერო მაუწყებლობაზე გადასვლის პროცესის მონიტორინგი და მხარდაჭერა

პროექტის მიზანია ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის პროცესის ადვოკატირება, პრობლემური მხარეების გამოკვეთა და რეკომენდაციების წარდგენა.

IDFI-ს მედიისა და ტელეკომუნიკაციების მიმართულების ხელმძღვანელმა უჩა სეთურმა ეუთოს მე-12 სამხრეთ კავკასიურ მედია კონფერენციაზე გააკეთა მოხსენება „ციფრულ მაუწყებლობაზე საქართველოს გადასვლა და მისი გავლენა მედია პლურალიზმზე".

### სტრატეგიული გეგმა საქართველო 2020 სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის გაძლიერება

პროექტის ფარგლებში გამართულ დისკუსიაზე: "ეროვნული ვალუტის გაუფასურების გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე" მომხსენებლებმა ისაუბრეს ლარის გაუფასურების გამომწვევ მიზეზებზე და იმ ნეგატიურ შედეგებზე, რომელიც შეიძლება მოჰყვეს ეროვნული ვალუტის გაუფასურებას მოკლე და საშუალოვადიან პერსპექტივაში.
ყურადღება ასევე გამახვილდა ეროვნული ვალუტის გაუფასურების საგარეო ფაქტორებზე, რომელთა შორის შეიძლება გამოიყოს მსოფლიოში ნავთობზე ფასისვარდნა, უკრაინასა და რუსეთს შორის მიმდინარე კონფლიქტი და უცხოეთიდან საქართველოში ფულადი გზავნილების შემცირება.

IDFI-ს პროექტები:

- საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზა - www.opendata.ge
- ღია მმართველობის პარტნიორობის ინიციატივაში საქართველოს პარლამენტის ჩართულობის მხარდაჭერა
- ციფრულ საეთერო მაუწყებლობაზე გადასვლის პროცესის მონიტორინგი და მხარდაჭერა (2015)
- სტრატეგიული გეგმა საქართველო 2020 – სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის გაძლიერება



### ღია მმართველობის პარტნიორობის ინიციატივაში საქართველოს პარლამენტის ჩართულობის მხარდაჭერა

პროექტი "ღია მმართველობის პარტნიორობის ინიციატივაში (OGP) საქართველოს პარლამენტის ჩართულობის მხარდაჭერა" მიზნად ისახავს საქართველოს პარლამენტის ღიაობის და გამჭვირვალობის გაზრდას და საკანონმდებლო პროცესებში მოქალაქეთა მონაწილეობის უზრუნველყოფას OGP-ში პარლამენტის აქტიური ჩართულობის გზით.

14-15 სექტემბერს, თბილისში ჩატარდა ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP) საკანონმდებლო ღიაობის სამუშაო ჯგუფის ორდღიანი კონფერენცია სახელწოდებით: „ღიაობის ვალდებულება: პარლამენტის სამოქმედო გეგმები, სტანდარტები და მეთოდები"

ერთ-ერთ სესიას „ღიაობის გაძლიერება: სტანდარტების მიღება, გეგმების შემუშავება და არასამთავრობო სექტორთან თანამშრომლობა" მოდერატორობა IDFI-ს დირექტორმა გიორგი კლდიაშვილმა გაუწია, ხოლო ორგანიზაციის გამგეობის თავმჯდომარემ, ლევან ავალიშვილმა წარადგინა საქართველოს ღია პარლამენტის სამოქმედო გეგმა 2015-2016 და ისაუბრა გეგმის შემუშავების პროცესზე, მექანიზმსა და შედეგებზე.



IDFI-ს დირექტორი, გიორგი კლდიაშვილი რიგით მეთექვსმეტე საერთაშორისო ანტი-კორუფციული კონფერენციის ერთ-ერთ სესიაში -ღია მმართველობის პარტნიორობის განხილვა”, სიტყვით გამოვიდა. მოგვიანებით, 7-8 ოქტომბერს ის მიიწვიეს აზია-წყნარი ოკეანის რეგიონალურ შეხვედრაზე. შეხვედრაზე განიხილეს აზიის განვითარების ბანკის სამოქმედო გეგმა და ღია მმართველობის პარტნიორობის გლობალური სამიტი, რომელიც ოქტომბერში მექსიკის ქალაქ მეხიკოშია დაგეგმილი.

31 აგვისტოდან 2 სექტემბრის ჩათვლით კი, ნიუ-იორკში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, საპარლამენტთაშორისო კავშირი პარლამენტის თავმჯდომარეთა მე-4 მსოფლიო კონფერენციას მასპინძლობდა, რომელზეც საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე, დავით უსუფაშვილი სიტყვით გამოვიდა.

ღია მმართველობა საქართველოს ფორუმის სამდივნომ, რომელსაც იუსტიციის სახლის ანალიტიკური დეპარტამენტი წარმოადგენს „ღია მმართველობა საქართველოს” 2014-2015 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების შუალედური ანგარიში წარადგინა. შეხვედრას ესწრებოდნენ IDFI-ს წარმომადგენლებიც.

### პროექტის ფარგლებში ორგანიზაციამ მოამზადა რამდენიმე სტატია:

- საქართველოს პარლამენტის მიერ ინფორმაციის დროულად გამოქვეყნების მნიშვნელობა
- „დასავლეთ ბალკანეთის დიალოგი“ ღია მმართველობის პარტნიორობის ფარგლებში
- საფრანგეთმა საპარლამენტო ღიაობის ეროვნული სამოქმედო გეგმა მიიღო

## სხვა აქტივობები

- ლვოვში გამართულ ელ-მმართველობის ფორუმზე IDFI-ს წარმომადგენლები სიტყვით გამოვიდნენ
- ინფორმაციის თავისუფლების დღესთან დაკავშირებით IDFI-მ საჯარო ლექცია ჩაატარა
- IDFI-მ განცხადება გააკეთა პრემიის მიღების უფლების შეზღუდვის შესახებ ინიცირებულ კანონპროექტზე

## ერთობლივი განცხადებები

- კოალიციის კიდევ ერთი შეფასება პროკურატურის კანონში ცვლილებების მიღებასთან დაკავშირებით
- კოალიციის განცხადება სასამართლო ხელისუფლების ირგვლივ განვითარებული მოვლენების თაობაზე
- არასამთავრობო ორგანიზაციების შეფასება საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით
- GPB-ს გენერალურ დირექტორს და სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარეს მოუწოდებენ განმარტონ ეკა მიშველაძის გადაცემიდან ჩამოშორების მიზეზი
- კამპანია ეს შენ გეხება – ისევ გვისმენენ სამართალდამცავ ორგანოებს ეკა მიშველაძის განცხადების საფუძველზე გამოძიების დაწყებისკენ მოუწოდებს

INSTITUTE FOR DEVELOPMENT OF FREEDOM OF INFORMATION
IDFI

Address: 3, Griboedov Street, Tbilisi, 0108, Georgia
Contact: info@idfi.ge | 00 995 322 921514
Web: www.idfi.ge | www.opendata.ge | Research